(სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №66

ქ. წალენჯიხა 4 ივლისი 2014 წელი

ერთის მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბელქანიას სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე „უჩა მოლაშხია" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის უჩა მოლაშხიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით დანართი №48 შესაბამისად სამუშაოების შესყიდვა.

1.2. მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები (CPV კოდი 45200000), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2 *შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება*

2.1. შესყიდვის ობიექტია: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულების დანართი №48 –ით გათვალისწინებულ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახინოს ტერიტორიული ორგანოში ნაგურუს უბნისთვის წყალსადენის მილის (2925 ლარი) და სოფ. სახინოსთვის წყალსადენის (1560 ლარი) მილების შეძენის სამუშაოები.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

3.2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 4485 (ოთხიათასოთხასოთხმოცდახუთი) ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტების ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ თანამედროვე სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები,ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 16 ივლისამდე.

5.1.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სახინოს თემი.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მიმდინარე ეტაპზე ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის შესაბამისად, რომელიც დადასტურებული იქნება უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით (შერსრულებული სამუშაოების აქტი ფორმა №2, ექსპერტიზის აქტი, ინსპექტირების ჯგუფის აქტი და ფარული სამუშაოების აქტი), საბოლოო ანგარიშწორება სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტების (შესრულებული სამუშაოების აქტი ფორმა №2 და ფორმა №3, ინსპექტირების ჯგუფის აქტის, ექსპერტიზის აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურა) წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

7.3. ავანსის სახით წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 40 % ოდენობით საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. გარანტია გაცემული უნდა იყოს საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო კომპანიის მიერ და გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

7.4. ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- გადაუხდელობის შემთხვევაში მოსთხოვოს ანაზღაურება ყველა საჯარიმო სანქციით გამოწვეული ზარალისა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

- სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან მომდევნო დღეს.
- წარუდგინოს შემსყიდველს ფოტო მასალა რომელზეც ასახული იქნება სამუშაოების დაწყების, მიმდინარეობის და დასრულების ეტაპები.
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების მე-5 მუხლში გათვალისწინებულ ვადებში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,15 % ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 31 ივლისამდე

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე იმ შემთხვევებში, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლში.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის, მიმდინარეობის და ვადების ინსპექტირება, ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 5 ივნისის №1-131 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

15. სხვა პირობები

15.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. სუბკონტრაქტორები

16.1. მიმწოდებელმა უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორების მონაცემები.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	ინდ. მეწარმე „უჩა მოლაშხია“
ს. კოდი 242739248	ს/კოდი 51001006400
მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას	მისამართი: წალენჯიხა. ნ. ხობელიას
ქ. №5. III სართული	ქ. № 16
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ წალენჯიხის	ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ფილიალი ბ. კოდი LBRTGE22	ბ. კოდი LBRTGE22
ა/ა GE22LB0120179460264000	ა/ა GE83LB0112149212097000
ტელ: 599 85 71 71	ტელ: 599 50 79 58
დავით ბუაჩიძე	უჩა მოლაშხია